ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2016 №188 (7114) ფასი: 50 თეთრი

მიმართვა ქართულ საზოგადოებას

საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს გვ.4

9 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

„ივანიშვილმა „ქართულ ოცნებას“ დაფინანსება შეუწყვიტა“

გვ.2

ირაკლი სესიაშვილი: „ჩვენი მაჟორიტარები იძულებული იყვნენ, ნაციონალებთან ეთანამშრომლათ“

ნაციონალები ბიზნესმენებს აიძულებდნენ, რომ პარლამენტში კენჭი ეყარათ და შემდგომ მათი ინიციატივებისთვის მხარი უსიტყვოდ დაეჭირათ. ბევრ მათგანს მოუწია ბიზნესის ხარკის ჩატანა წინა ხელისუფლებისათვის.

ბურჭულაძის პარტია 80-მდე ადამიანმა დატოვა

გვ.2

ჯემუღახიას გამო ჰაატა ბუჩჭულაძეს თანაპარტიელებთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა. ისინი ჯემუღახიას ნაციონალურ წახსულს უწუნებდნენ.

რა ხდება ხობში?

პრეზიდენტი ქორწინების საკითხზე რეფერენდუმს არ დანიშნავს

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, 9 აგვისტოს, განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ ქორწინების საკითხზე რეფერენდუმს არ დანიშნავს.

გიორგი მარგველაშვილი:

– დიდ პატივს ვცემ რეფერენდუმს, როგორც პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტს, მაგრამ კანონის მიხედვით, რეფერენდუმი ტარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მე ვალდებული ვარ დავიცვა ქვეყნის ერთიანობა.

საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ორი ტერიტორია რუსეთს გამოცხადებული აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

ეს რეფერენდუმი დამატებით სამართლებრივ არგუმენტს აძლევს ოკუპანტს. კანონში წერია, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა. კანონი კრძალავს კონსტიტუციის ცვლილებას სარეფერენდუმო გზით, მე ვეთანხმები პრემიერის ინიციატივას, ამაზე იმსჯელოს საქართველოს პარლამენტმა.

კახა კუკავა: „ბურჯანაძემ და ალასანიამ შეცდომები დაუშვეს“

გვ.2

გიორგი პაპუაშვილი ვა-ბანკზე მიდის?

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „ნაციონალებს და ხიდაშელს იზორიასი ეშინიათ

გვ.3

ISSN 1987-9385



OSCE
The Representative on Freedom of the Media
Organization for Security and Co-operation in Europe

Organization for Security and Co-operation in Europe
The Representative on Freedom of the Media
Dunja Mijatović

270/16

Vienna, 25 July 2016

H.E. Mikheil Janelidze
Minister of Foreign Affairs of Georgia

Your Excellency,

Allow me thank the Ministry of Foreign Affairs for the hospitality shown to me during my visit to Tbilisi on 6-7 July on the occasion of my Office's 13th South Caucasus Media Conference.

The two-day event brought together more than 80 journalists, representatives of government and civil society from Armenia, Azerbaijan and Georgia, along with international experts and participants from Bosnia and Herzegovina, the Russian Federation and the United Kingdom.

Participants discussed a wide range of issues affecting media freedom, including the safety and security of media workers online and offline, the influence of the Internet on the changing media landscape, and content regulation in conflict-affected regions, including the legal implications and professional standards of journalists.

At the end of the conference, participants adopted the attached recommendations, which I would like to bring to your attention.

These recommendations offer important perspectives that I hope will guide the South Caucasus countries in the further development of media and will be used by the relevant authorities when considering policies and practices related to the safety of journalists, the prevention of hateful propaganda, the promotion of media literacy, as well as to ensuring an overall positive environment for free expression and media pluralism.

I would also like to thank you for your comments during the opening address to the conference and for our constructive meeting that followed.

As we discussed, Georgia has achieved substantial and widely recognized progress on free media and freedom of expression. In this regard, I was encouraged with your assurances that the authorities would continue to preserve and enhance these exemplary achievements and maintain a diverse, vibrant and pluralistic media landscape.

My Office stands ready to support Georgia in this important process and provide necessary policy recommendations.

Wallnerstrasse 6-6a
A - 1010 Vienna, Austria
Telephone
+43 1 514 36 6800
Telefax
+43-1-514 36 6802
E-mail
pm@osce.org

ეუთო-ს გვ.9

წარმომადგენელი მედიისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით საქართველოს პროგრესზე საუბრობს

მარიამ მჭედლიშვილი

კახა კუკავა: „ბურჯანაძემ და ალასანიამ შეცდომები დაუშვეს“

ნაციონალური მოძრაობა მაოხრებელი მკვდრის ფუნქციას ასრულებს

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების წინ მთელმა ოპოზიციამ ჩაატარა ჯამპანია მაჟორიტარული არჩევნების წინააღმდეგ. მმართველმა პარტიამ ამ ეტაპზე უარი თქვა მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებაზე. რა დამოკიდებულებაა ამ მხრივ ამომრჩევლებში?

თავისუფალი საქართველოს ლიდერი, პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატი მუხიანი-გლდანში კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხალხი კარგად აცნობიერებს, რაც ხდება. ამომრჩეველი ერთმანეთისაგან ასხვავებს ფულის ტომრებს, რომლებიც პარლამენტში საკუთარი სარგებლისათვის მიდიან და აქტიურ პოლიტიკოსებს.

კახა კუკავა:

– ოპოზიციონერები, მართლაც მოვითხოვდით მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. ამ არჩევნებისათვის ამას ვერ მივაღწიეთ. ამიტომ, ვმონაწილეობთ მაჟორიტარულ არჩევნებშიც. ყველა ამომრჩეველი ვერ ერკვევა საკანონმდებლო საკითხებში, მაგრამ გვარსახელებზე თითქმის ყველას აქვს წარმოდგენა.

მათ იციან, რომ „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული კანდიდატები ნაციონალური მოძრაობიდან გადმოსული ფულის ტომრები არიან. მაგალითად, გოდერძი ბუკია, ოქრიაშვილი, სონღულაშვილი და კიდევ ბევრი. მათი წამოყენება მიანიშნებს გარიგებაზე.

ფულიანი ხალხის შეყვანა პარლამენტში იმას ნიშნავს, რომ მათ ძარცვის უფლება ეძლევათ. ამის სანაცვლოდ, მათ ხმა არ უნდა ამოიღონ მთავრობის პოლიტიკაზე.

– ანუ „ქართული ოცნება“ ამ თვალსაზრისითაც კავშირშია ნაციონალურ მოძრაობასთან?

– რომ არა ნაციონალური მოძრაობა, „ქართული ოცნების“ რეჟიმი დამთავრდებოდა. ნაციონალური მოძრაობა ასრულებს მაოხრებელი მკვდრის ფუნქციას. ამ პარტიას აქვს დიდი ფინანსური, სტრუქტურული რესურსი, აქვს მედიასაშუალებები. ამიტომ იგი აქამდე ინარჩუნებდა მეორე პოზიციას, მეორე ადგილს. „ქართული ოცნების“ რეალური მდგომარეობა ისეთია, რომ მან არჩევნებში 50%-იანი მხარდაჭერა ვერ უნდა მიიღოს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიღება მოხდება არა ერთპარტიულად, არამედ, დისკუსიების შედეგად. ეს თავად „ქართული ოცნებისთვისაც“ კარგი იქნებოდა, რომ ის უარესად არ გაირყვნას და კორუფციის ჭაობში არ ჩაიძიროს.

– „ქართული ოცნების“ რეჟიმი დამთავრდებოდაო, რომ აღნიშნეთ, როგორ უნდა დამთავრებულიყო აქამდე ეს რეჟიმი?

– თუნდაც, ადგილობრივ არჩევნებზე. ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ოპოზიციონერი ლიდერები, რომლებსაც გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდათ, მოახერხებდნენ სხვა ძალების კონსოლიდაციას. ვგულისხმობ ნინო ბურჯანაძეს და ირაკლი ალასანიას. ისინი საკუთარ პარტიებში ჩაიკეტნენ და დიდი შეცდომა დაუშვეს იმით, რომ უარი თქვეს სხვებთან გაერთიანებაზე.

ვფიქრობ, ამ შეცდომების შედეგებს ისინი ამ არჩევნებზე მოიმკიან. სამაგიეროდ, გაერთიანება ახლა მოახერხეს დავით თარხან-მოურავმა და ირმა ინაშვილმა. ჩვენ შორის ადრე უთანხმოებაც იყო, მაგრამ ეს დავივიწყეთ. ახლაც გვაქვს აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ დიდი საარჩევნო ბლოკი მაინც შეიქმნა. პატრიოტთა ალიანსს საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემა ისედაც არ ჰქონდა, მაგრამ მან გადადგა საჭირო ნაბიჯი. ჩვენი ამოცანაა, მეორე ადგილი დავიკავოთ ჩვენ, გაერთიანებულმა ოპოზიციამ, ნაციონალური მოძრაობა კი უკან ჩავაჩოჩოთ.

– ეს მთლიანად შეცვლიდა სიტუაციას?

– რასაკვირველია. მინდა „ახალი თაობის“ ფურცლებზე პროგნოზი გავაკეთო: თუ ნაციონალური მოძრაობა დაკარგავს მეორე ადგილს წლევანდელი არჩევნების შედეგად, მომდევნო არჩევნებისათვის პირველ ადგილს შეელევა „ქართული ოცნებაც“. ეს ისეთივე სიტუაციაა, როგორიც შევარდნაძეაბაშიძის დროს იყო, როცა ერთმანეთის ვითომ კონკურენტმა აღორძინებამ და მოქალაქეთა კავშირმა ერთმანეთის მიყოლებით დაკარგეს პოზიციები.

– შემოდგომაზე მოსალოდნელია ბიძინა ივანიშვილის ჩასვლა რეგიონებში. როგორ აუხსნის ბიძინა ივანიშვილი ხალხს, რატომ დასახელდნენ „ქართული ოცნების“ კანდიდატებად გოდერძი ბუკია, ენზელ მკოიანი და სხვები?

– ვერაფერს აუხსნის. დააკვირდით, როგორ ტარდება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებები და კანდიდატების დასახელება. ეს არაა შეხვედრები ხალხთან. ეს არის ურთიერთობა აქტივთან, გამგეობებისა და სხვა უწყებების მუშაკებთან. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ბეშუმობაზე.

„ოცნების“ ლიდერები ადმინისტრაციების თანამშრომლებთან ერთად იყვნენ კორდონებით იზოლირებული. ამაზე კვირიკაშვილმა ისეთი ფრაზა თქვა, რომ თავი დაიმარხა. მისი სიტყვებით, უნდა გენახათ, 4 წლის წინ ნაციონალური მოძრაობა როგორ ატარებდა შეხვედრასო! ნიკორწმინდაშიც რომ ჩავიდა, გზები გადაკეტეს. „ქართული ოცნება“ ჩვეულებრივ მოქალაქეებს ვერ ხვდება. ხალხში ვერც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდება.

„ივანიშვილმა „ქართულ ოცნებას“ დაფინანსება შეუწყვიტა“

ირაკლი სესიაშვილი: „ჩვენი მაჟორიტარები იძულებული იყვნენ, ნაციონალებთან ეთანამშრომლათ“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებას“ თავისუფლად შეუძლია საარჩევნოდ შემდეგი სლოგანი გამოიყენოს – არც ერთი რეგიონი ნაციონალი მაჟორიტარის გარეშე. მცხეთა-მთიანეთის და გურიის გარდა, მმართველმა ძალამ ყველა რეგიონში რამდენიმე ნაციონალი დაასახელა მაჟორიტარად.

ამას საზოგადოებაში გაკვირვებაც მოჰყვა და აღშფოთებაც. რამდენიმე თვის წინ „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი და იმავდროულად ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აცხადებდა, რომ მათ საარჩევნო სიაში ყოფილი ნაციონალების ჭაჭანება არ იქნებოდა.

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა კი უფრო ადრე მეოცნებეებს უთხრა, რომ მომავალ პარლამენტში ბიზნესმენი დეპუტატები აღარ შევიდოდნენ. ეს განცხადება დახურულ შეხვედრაზე გააკეთა და ეს ყველა იქ მყოფმა დეპუტატმა დაადასტურა.

ივანიშვილმა ბიზნესისადმი მიდრეკილ დეპუტატებს ისიც უთხრა, უმჯობესი იქნება თუ სამუშაო ადგილების შექმნაზე იფიქრებთო. თავიდან მართლაც არ განიხილებოდა მათი კანდიდატურები. ახლა კი თუ ვინმეს ჯიბეში ფული უჩხრიალებს, ქუჩაში იჭერენ და მაჟორიტარებად ამწესებენ.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამას იმით ხსნის, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავისი პარტიის დაფინანსებაზე უარი თქვა.

გიორგი გუგავას განცხადებით, „ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიას ხალხის ფულით ატარებს.

– მმართველი პარტიის პირველი ნომერი კვირიკაშვილი წინასაარჩევნო შეხვედრებისას რეგიონებში გადაადგილებისთვის სახელმწიფო ვერტმფრენით სარგებლობს, რაც ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება. ასევე, ბიუჯეტით დაფინანსებულ სახალხო ღონისძიებებს „ქართული ოცნება“ და მისი კანდიდატები იყენებენ წინასაარჩევნო პროპაგანდა აგიტაციისთვის. საარჩევნო კანონმდებლობით აღნიშნული ქმედებები დაუშვებელია და ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს, – აცხადებს გუგავა.

ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართავს და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებისკენ მოუწოდებს.

– მივმართავთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სპეციალური საჩივრით, რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ფაქტებზე და შესაბამისი სანქციები დააკისროს მმართველ პარტიას, ასევე მის კანდიდატებს, ხოლო ხელისუფლებას მოვუწოდებთ, საარჩევნოდ გაფლანგული თანხები საკუთარი ფონდიდან დაუბრუნონ ბიუჯეტს, – აცხადებს ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი.

„ქართულ ოცნებაში“ ყოფილ ნაციონალებთან დაძმობილებას ცუდ ტონად არ მიიჩნევენ.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ მედია არასწორად იქცევა, როცა ყოფილ ნაციონალებს ნაციონალებად მოიხსენიებს.

მისი თქმით, ისინი, ვინც მედიისთვის ყოფილი ნაციონალები არიან, მისთვის ნაციონალური რეჟიმისგან გათავისუფლებული ადამიანები არიან.

ირაკლი სესიაშვილი:

– წინა ხელისუფლების პოლიტიკური შეხედულებები ძალიან შორს არის იმ რეალობისგან, იმ დემოკრატიული მმართველობისგან, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ. რეალობაა ის და კარგად გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ბიზნესმენები, არა საკუთარი ნებით იყვნენ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები, არამედ იძულებული იყვნენ, პოლიტიკური მაფიოზების დავალებები შეესრულებინათ, რათა მათი რესურსი ნაციონალური მოძრაობის ინტერესებისთვის ყოფილიყო გამოყენებული.

ისინი, ვინც ბიზნესმენები იყვნენ, აიძულებდნენ, რომ პარლამენტში კენჭი ეყარათ და შემდგომ მათი ინიციატივებისთვის მხარი უსიტყვოდ დაეჭირათ. ბევრ მათგანს მოუწია ბიზნესის ხარკის ჩატანა წინა ხელისუფლებისათვის.

შორენა მარსაგიშვილი

ბურჭულაძის პარტია 80-მდე ადამიანმა დატოვა

ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია ნამდვილი განხეთქილების ვაშლი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ის „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად დაასახელა, მმართველ პარტიაში ბევრი განაწყენდა. გაცილებით მძიმე ვითარება შეიქმნა პაატა ბურჭულაძის პარტიაში.

გუშინ, 9 აგვისტოს, ცნობილი გახდა, რომ პარტია „სახელმწიფო ხალხისათვის“ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა დატოვა. სააგენტო „თაიმერის“ ინფორმაციით, წამოსულთა შორის არის კახა ბუკია, რომელიც ხობში პარტიის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა.

კახა ბუკიას ინფორმაციით, პარტიიდან 80-მდე ადამიანი 8 აგვისტოს წამოვიდა. წამოსვლის მიზეზად ისინი ნაციონალურ მოძრაობას ასახელებენ.

– ეს პარტია ნაციონალების სატელიტი აღმოჩნდა, ამიტომაც წამოვედით რამდენიმე ათეული ადამიანი, – ამბობს ბუკია.

ბურჭულაძის უარმყოფელები უახლოეს მომავალში დასვენებას გეგმავენ. ყოველ შემთხვევაში, კახა ბუკია ამბობს, რომ ჯერჯერობით არც ერთ პარტიაში არ აპირებენ შესვლას.

80 კაცის წასვლაზე განსხვავებული ვერსია აქვს კოტე კემულარიას, რომელიც პარტიის ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატია.

სხვათა შორის, კემულარიას გამო პაატა ბურჭულაძეს თანაპარტიელებთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა. ისინი კემულარიას ნაციონალურ წარსულს უწუნებდნენ.

კოტე კემულარიას განმარტებით, კახა ბუკია და კიდევ რამდენიმე ადამიანი პარტიიდან საკუთარი სურვილით არ წასულან.

ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი ამბობს, რომ ეს ადამიანები პარტიიდან გაუშვეს.

– მათ ამ გადაწყვეტილების შესახებ 8 აგვისტოს ეცნობათ, – ამბობს კოტე კემულარია.

კემულარიას განცხადებით, ამ პარტიაში იმიტომ აღმოჩნდა, რომ ამ პარტიიდან აპირებდა კენჭისყრას გოდერძი ბუკია.

– თუმცა გოდერძი ბუკია სახელისუფლებო გუნდმა დაასახელა და, შესაბამისად, ბურჭულაძის პარტია მას აღარ სჭირდებოდა. – აღნიშნა კემულარიამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვახტანგ მაისაია: „ნაციონალებს და ხიდაშელს იზორიასი ეშინიათ“

გულიკო ბალაძე

ვის კისერზეა 42-ე ბატალიონის დაღუპვა? რატომ გარბოდნენ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გენერლები ბრძოლის ველიდან ლაჩრებივით? რატომ წააგო ნაცმოძრაობის ხელისუფლების მაღალმა პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ ომი? – ამ კითხვებს „ახალ თაობასთან“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია სვამს.

– ბატონო ვახტანგ, რას ემსახურება დარტყმა თავდაცვის სამინისტროზე? ვგულისხმობ წითელა შვილის შესახებ განცხადებებს, რომ ის შევიდა საიდუმლო ობიექტზე, შემდეგ კი მონაცემები მტერს მიაწოდა.

– ეს იმდენად კურიოზული, სასაცილო და თითიდან გამოწოვილი ამბავია, შეიძლება კომედიური ჟანრის ფილმი, მაგალითად, „იდიოკრატია-3“ გადაიღო. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ.

– რატომ არის თითიდან გამოწოვილი?

– აბსურდი და სისულელეებია, რაც მოჩმახა ნაცმოძრაობის ზოგიერთმა მომხრემ, მხარდამჭერმა, საინფორმაციო-პოლიტიკურმა სუბიექტმა, რომლებიც თვითონ არიან დამნაშავეები და სამშობლოს მოღალატეები. საინტერესო მომენტია, ისინი სხვას აბრალებენ სამშობლოს ღალატს. მიკვირს დღევანდელი ხელისუფლების, რომ ამ სისულელეებს აჰყვა.

– გიგი კალანდაძის განცხადებას სისულელეს რატომ უწოდებთ?

– იმდენად საფუძველმოკლებული განცხადებებია, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება დროის ფუჭად კარგვაა.

– მხარე ინფორმაციას სერიოზულად ავრცელებს.

– ყოფილი ე.წ. გენშტაბის უფროსი, თვითონ კრიმინალი და დამნაშავეა. ჯერჯერობით, მისთვის ბრალი არავის მოუხსნია, ე.წ. გენერალი გიგი კალანდაძე ისეთ სისულელეებზე ლაპარაკობს, არ მიკვირს, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, სამწუხაროდ, ომი რომ წააგო. მაღალმა პოლიტიკურმა სამხედრო ხელმძღვანელობამ წააგო ომი, თორემ ჯარისკაცებმა გმირობის სასწაული მაგალითები გვიჩვენეს. სამწუხაროდ, ისეთი გენერლები რომ გვყავდა, რომლებიც ბრძოლის ველიდან ლაჩრებივით გარბოდნენ, რომელმაც 42-ე ბრიგადის დაღუპვა განაპირობა. საკითხავია, ვის კისერზეა 42-ე ბატალიონის დაღუპვა.

– ვის კისერზეა?

– უსუსური სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის კისერზე. იმაზე ისაუბრონ, სამხედრო პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმდენად უსუსური და უმწეო როგორ აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად, სამხედრო ოპერაციები სტრატეგიული კუთხით 6 საათში დასრულდა. ვნახეთ, როგორ იბრძოლეს ისეთმა „სარდლებმა“, როგორებიც იყვნენ ვინმე კალანდაძე, კეზერაშვილები, უგულავები, მიხეილ სააკაშვილები და სხვები. ვნახეთ, სააკაშვილმა ომის პერიოდში, გორში როგორ მიატოვა კუშნირი და როგორ გაიქცა. ესეც საკმარისია დემორალიზაციის მაგალითისთვის.

– კალანდაძემ რატომ წამოაყენა რაღაც საიდუმლო ობიექტის საკითხი ახლა?

– საკითხავი სწორედ ეს არის. სად იყო ამდენი ხანი, რატომ მალავდა ინფორმაციას, თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი? როგორც სამხედრო ექსპერტი, კალანდაძისაგან მოვითხოვ, დაასახელოს, რომელ სტრატეგიულ ობიექტზეა საუბარი? რომელ მართვის ცენტრზეა საუბარი? მით უმეტეს, რომ თურმე რუსებს ამ უცნობი ობიექტის შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია გააჩნიათ. თუ რუსებს დიდი ხანია აქვთ ინფორმაცია, რა საიდუმლო ობიექტია? დაასახელოს გეოგრაფიული მოცემულობა, სად მდებარეობს აღნიშნული ობიექტი? რა მოცულობის ობიექტია? რომელი სახეობის ჯარისთვის იყო განკუთვნილი? რა ისეთი საიდუმლო ობიექტია, რომლის აღმოჩენა თურმე კოსმოსური და საჰაერო დაზვერვის საშუალებებით შეუძლებელია? ადამიანი ასეთ სისულელეებს რომ იტყვის, გენშტაბში რომ ვმუშაობდი, იმ ობიექტზე სამოქალაქო ფორმით დავდიოდიო. ეს ნამდვილი იდიოტიზმია. თუ სამოქალაქო ფორმით დადიოდა გენერალური შტაბის უფროსი სამოქალაქო ობიექტზე, თვითონ გაუშიფრია ის ობიექტი თავისი სულელური ქმედებით. თუ ასეთი ობიექტი არსებობს, მას სჭირდება მეთვალყურეობა. მოწინააღმდეგე აფიქსირებსო. გენერალური შტაბის უფროსი რომ სამოქალაქო ფორმით შედის ობიექტზე, ის ობიექტი ყურადღების ქვეშ უფრო მეტად არ მოექცევა?

ამ ერთი სულელური ფრაზიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა სისულელეებს და რა ზღაპრებს თხზავს. კალანდაძემ ჩემს კითხვებს გასცეს პასუხი და შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, პოლიტპატიმარმა და გენერალმა ტრისტან წითელაშვილმა სად, რა ვითარებაში, ვითომ როგორ გათქვა საიდუმლო ობიექტი.

– ერთ-ერთი სამხედრო ექსპერტის განცხადებით, თურმე იმ ობიექტების ნახვა, რაზეც ამდენს საუბრობენ, შესაძლებელია ინტერნეტით თვით რუსეთის უშიშროების სპეცსამსახურებისთვისაც. რა საიდუმლო ობიექტია თუ მისი ნახვა ინტერნეტით ყველას შეუძლია?

– პარასკევს თვითონ დავათვალიერე გორთან და მცხეთასთან არსებული ე.წ. თავდაცვითი ზღუდეები, რომლებიც პირდაპირ ჩანს გზიდან და ისეთი არაფერია. მიხეილ სააკაშვილმა ის და კიდევ სხვა ობიექტები 2013 წელს ისედაც გათქვა.

– როგორ გათქვა?

– ობიექტები მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში საკუთარი ხელით საქვეყნოდ მოხაზა და აჩვენა. სააკაშვილმა არა მარტო საქართველოს საიდუმლო რუკა აჩვენა საქვეყნოდ, არამედ უკრაინის სამხედრო საიდუმლოებაც გასცა. არამზადა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სამხედრო ობიექტებს, სამხედრო კომუნიკაციურ ცენტრებს იოლად აბარებს მტერს (რუსეთზეა საუბარი). ნაციონალები აქეთ ლანძღავენ იმ სამხედრო ექსპერტებს, რომლებსაც სურთ გამოასწორონ მათი გაფუჭებული საქმე. კალანდაძე და ვინმე ხარშილაძე კოლექტიური რიგითი შვეიკები არიან.

მეორეც – ლევან იზორია კურირებდა ანტიკორუფციულ სააგენტოს, ამიტომ ნაციონალები შეშინდნენ.

– რა ჰქონდათ შესაშინებელი?

– ლევან იზორიას შეეძლო დაევალებინა გამოძიების გაგრძელება, რომელიც უკავშირდება თავდაცვითი ზღუდეების აგებისთვის ტყუილად დახარჯულ მილიონებს.

– ტყუილად, რატომ?

– თავის დროზე თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო გამოძიება, როგორ გაიფლანგა 600 მილიონი ლარი ვითომ თავდაცვითი ზღუდეების აგებისთვის, რომელიც იყო სუფთა კორუფციული სქემა. როგორც ჩანს, ნაციონალებმა იცოდნენ, იზორია მინისტრად ინიშნებოდა და პრინციპულად დააყენებდა 600 მილიონის გამოძიების საკითხს, რომელიც რატომღაც შეჩერდა თინა ხიდაშელის მინისტრობის დროს. ეს უფრო იწვევს საინტერესო კითხვებს.

– რატომ უნდა შეეჩერებინა თინა ხიდაშელს დაწყებული გამოძიება?

– ეს თინა ხიდაშელს უნდა ჰკითხოთ. ამ საკითხზე თინა ხიდაშელის პასუხები ძალიან დიდ კითხვებსა და ეჭვებს ბადებს – რატომ არის უნისონში კალანდაძე-ხარშილაძეებსა და ნაცმოძრაობის ლიდერებთან, რატომ უგორებს კოჭს თინა ხიდაშელი ნაცმოძრაობას. ეს არის საინტერესო.

– რატომ უგორებს?

– არ ვიცი. ფაქტობრივად, ეს არის საბოტაჟი. ნაცმოძრაობა ცდილობს ააგოროს და შეიარაღებული ძალები ჩაითრიოს პოლიტიკურ თამაშებში. აბსოლუტურად ვიზიარებ ქალბატონ ეკა ბესელიასა და ბატონ გია ვოლსკის გაცხადებას კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობის შესახებ, მაგრამ არა მარტო კონსტიტუციური გადატრიალების, არამედ სამხედრო გადატრიალების მცდელობაც იყო.

– ვის შეიძლებოდა ეცადა სამხედრო გადატრიალება?

– შეიძლებოდა აეგორებინათ, თითქოს სამხედრო ხელმძღვანელობა რუსეთზე მუშაობდა, თითქოს ამ პერიოდში რუსებს გადაეცათ რაღაც საიდუმლო (ჩემთვის გაურკვეველი ტიპის) ობიექტებზე ინფორმაცია. მიხეილ სააკაშვილს აწყობდა ეს ე.წ. გენერალი, რათა ის დაემონებინა და გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. უნდოდათ ჩირქი მოეცხოთ ხელისუფლებისთვის, შესაბამისად, გაცხარებული საარჩევნო კამპანიის ფონზე ვითარება კიდევ უფრო დაეძაბათ სამხედრო კომპონენტების ჩართვით. ბუნებრივია, ეს იყო სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობა.

– თავდაცვის მინისტრად იზორიას დანიშვნასაც კრიტიკა მოჰყვა, რადგან ის უშიშროების სამსახურიდან გადაიყვანეს. თქვენი პოზიცია როგორია?

– ლევან იზორია უშიშროებაში სულ რამდენიმე თვეა, რაც მუშაობს. მანამდე ის იყო აკადემიური წრის წარმომადგენელი, კოალიციის აქტიური წევრი. ის კურირებდა ისეთ მიმართულებას, რაც კავშირში არ იყო სპეცსამსახურების მუშაობასთან. წინა ორი თავდაცვის მინისტრი ჯანელიძე და ალასანია პროფესიონალი ჩეკისტები არიან. ჩემი აზრით, მათი თავდაცვის მინისტრად დანიშვნა, დანაშაული იყო. ჩეკისტები და სპეცსამსახურის წარმომადგენლები, რომლებსაც გამოცდილება გააჩნიათ, არ უნდა იყვნენ თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები. ეს დაუწერელი კანონია. სააკაშვილმა დააყენა ყოფილი ჩეკისტები, კეზერაშვილი, ბაჩო ახალაია.

გიორგი პაპუაშვილი ვა-ბანკზე მიდის?

საკონსტიტუციო სასამართლო, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური მიწისძვრის ეპიცენტრი გახდეს. გიორგი პაპუაშვილი აქამდე თუ სკანდალურ განცხადებებს აკეთებდა, ახლა, როგორც ინფორმაცია არსებობს, დიდი სენსაციის დადებას აპირებს. თუ განცხადებები ცარიელი სიტყვები იყო და პროკურატურამ ის მარტივად გაშიფრა, ვითარება კი გაანეიტრალა, ახლა ცნობილი ხდება, რომ პაპუაშვილი და მის უკან მდგარი ძალები სერიოზული სკანდალის გახეთქვას აპირებენ და იმ ფირების გარეთ გამოტანაზე მსჯელობენ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში მისი ყოფნის დროს გადაიღო და პირადი ცხოვრების ამსახველ ფრაგმენტებს შეიცავს. როგორც ჩანს, ასე აპირებენ, ვითარების საბოლოოდ აფეთქებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სახიფათო თამაშები წამოიწყო და, როგორც ჩანს, უკან დახევას არ აპირებს. ახლა ის ვა-ბანკზე მიდის და პროცესი უკვე ფეთქებადსაშიშ ფაზაში გადაჰყავს.

უკვე ცხადი ხდება, რომ გიორგი პაპუაშვილი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს და ამისთვის ბინძურ მეთოდებსაც არ ერიდება. თუმცა, დღემდე უშედეგოდ.

როგორც ჩანს, სქემა, რომელიც, როგორც ღიად მიანიშნებენ, პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად დაიგეგმა, მასშტაბური უნდა ყოფილიყო. თითქოს ყველაფერი ასეც დაიწყო. გიორგი პაპუაშვილი გააკეთებდა სრულიად ზოგადი ხასიათის სკანდალურ განცხადებას და აჰყვებოდა მას ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი.

გათვლა მარტივი იყო: სკანდალური განცხადება, პლუს ხმაური სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებებიდან, უდრის ხელისუფლების აფეთქებას.

თუმცა, ერთია, გააკეთო სკანდალური ასაფეთქებელი ნაღმი, მეორეა, ის კარგად დაამაგრო ხელისუფლების კულისებში და შემდეგ აამოქმედო.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ პაპუაშვილს ნელი მოქმედების ნაღმი ამოქმედებული ჰქონდა და ის, თითქოს, ასაფეთქებლადაც მზად იყო. თუმცა, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში გეგმამ არ იმუშავა და სქემა სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

ერთხელ პაპუაშვილმა პანიკური ხასიათის განცხადება გააკეთა. მან თქვა: ჩემი ოჯახის წევრებს ემუქრებიანო.

თუმცა, მას, როგორც იურისტს, საკუთარი ოჯახის უფლებებისა და ღირსების დაცვა გამოძიების ან სასამართლოს გზით არ უცდია. სამაგიეროდ, სამართალდამცავებმა საქმე აღძრეს და გამოძიება აქტიურად დაიწყეს. დაიკითხნენ გიორგი პაპუაშვილი და მისი მეუღლე, რომლის ტელეფონზეც განხორციელდა ეს მუქარანარევი ზარი.

დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ პირი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრს ემუქრებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, თურმე იმ მემწვანილის ცოლია, რომელიც მათ ეზოში მწვანილსა და ბოსტნეულს ყიდის.

სარხან ისმაილოვთან დაკავშირება ვერ შევძელით, მობილური გათიშული აქვს, თუმცა, გიორგი პაპუაშვილის მეუღლემ მაშინ განაცხადა., რომ თავიდან მას არ სურდა ამ თემაზე საუბარი, თუმცა მოგვიანებით, როცა გაიგო, რომ გარკვეული დეტალები მედიისთვის ცნობილი იყო, დაადასტურა, რომ გამოძიება ბოსტნეულის გამყიდველის ოჯახზე გავიდა, ამიტომაც აღნიშნა, რომ არც გამოძიებასთან აქვს რაიმე კითხვები და პრეტენზიები და არც მუქარა იყო სინამდვილეში საშიში და სახიფათო.

გიორგი პაპუაშვილის ცოლმა თეა ხოფერიამ მაშინ ერთ-ერთ მედია საშუალებასთან საუბარში მხოლოდ ის თქვა, რომ საუბარი ამ თემაზე არ სურს:

– ამ თემაზე საუბრის სურვილი არ მაქვს, უკაცრავად, ეს ამბავი მე არ გამიხმაურებია, ამის სურვილი არც ერთ ეტაპზე არ მქონია.

უფრო ადრე გიორგი პაპუაშვილმა, მისივე შეფასებით, „საგანგაშო ფაქტი“ გაახმოვანა და თქვა: ხელისუფლებას ჩემზე გარკვეული სახის კომპრომატი აქვსო, სხვა დეტალები არ დაუკონკრეტებია.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის საუბრობდა ჩანაწერზე, რომელიც კანონიერად არსებობს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილის ინფორმაციით, პაპუაშვილის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალა არსებობს, თუმცა ის უკანონოდ არ არის მოპოვებული – პოლიციის ოპერატიული მასალაა, რომლის ჩაწერის უფლებაც კანონმდებლობით დაშვე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მიმართვა ქართულ საზოგადოებას

საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს

ჩვენი განცხადების მიზანია, ქართველ საზოგადოებას და საერთაშორისო თანამეგობრობას ჯერევ ერთხელ ვაჩვენოთ ნაციონალური მოძრაობის სახე, ამჯერად მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მცდელობის მაგალითზე.

წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და ინსტიტუტი იყო პოლიტიზებული, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლო. რეალურად არანაირი ზღვარი არ არსებობდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მაშინდელ მმართველ პარტიას შორის. სწორედ ამ უკანასკნელს ემსახურებოდა ყველა სახელმწიფო ორგანო. თავის მხრივ, პარტია ატარებდა ერთი ადამიანის და მასთან დაახლოებული მცირე ჯგუფის ინტერესს.

დღეს ყველასთვის ნათელია, თუ როგორ იყო ფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც მისი თავმჯდომარე, გ. პაპუაშვილის სახით, გვევლინებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების დამცველად, რომლისთვისაც კანონზე მაღლა იდგა ყოფილი მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესები და სადაც წამყვან ძალას ამავე პარტიისთვის „განსაკუთრებით საიმედო“ პირველი კოლეგია წარმოადგენდა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმის უპირობო განმხილველი, ვინაიდან იგი დაკომპლექტებულია ერთი პოლიტიკური გუნდის წევრებით, რომლებიც წლების განმავლობაში ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ მეტად მჭიდრო სამსახურებრივი და პირადი ურთიერთობებით.

სასამართლოს თავმჯდომარისა და მასთან გამორჩეულად დაახლოებული რამდენიმე მოსამართლის მოქმედებების შინაარსი სრულად შეესაბამება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერას და აშკარად გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის უკანასკნელ საყრდენს წინასაარჩევნო ქაოსისა და „ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის“ შესაქმნელად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც, „საკონსტიტუციო რევოლუციის“ სცენარის ჩაშლით გაწბილებული, კვლავ ცდილობს შეასრულოს პარტიული დავალება.

როგორც კი საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ შეძლო თავის დაღწევა პარტიული გავლენისგან, ვინაიდან ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლო დესტრუქციული მოქმედებებით საერთოდ შესაძლოა ქვეყანა ამოვარდნილიყო ნორმალური განვითარების კალაპოტიდან, და ყოფილ სახელისუფლებო გუნდს არ მისცეს საკუთარი თავით მანიპულირების საშუალება, მათ წინააღმდეგ მყისიერად ამუშავდა „ნაციონალური მოძრაობის სააგიტაციო მანქანა“.

კერძოდ, ორი კვირის წინ საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა საარჩევნო პროცესში კოლაფსის შექმნას. გასაჩივრებული საარჩევნო ნორმების გაუქმების შემთხვევაში, რეალურად დარჩენილი მცირე დროის გათვალისწინებით, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ღია პოლიტიკური, თუმცა, აშკარად პროვოკაციული განცხადებები მოსამართლეთა მიმართ ზეწოლის განხორციელების თაობაზე.

პერსონალური ზეწოლის ფაქტი არ დაადასტურა მთავარ საგამოძიებო ორგანოში დაკითხულმა არც ერთმა მოსამართლემ.

უფრო მეტიც, სასამართლოს 5-მა მოსამართლემ, თავის მხრივ, განცხადებით გამოაააშკარავა ის მეტად სერიოზული კანონდარღვევები, რომლებიც ხდებოდა სასამართლოში. კერძოდ, ეს იყო:

– სარჩელების ფარული შეცვლა პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე, მოსარჩელის ინტერესების სასარგებლოდ;

– ე.წ. „პოლიტიკურად აქტუალური“ სარჩელების გამიზნულად, მხოლოდ ე.წ. „სანდო“ 1-ელ კოლეგიაზე და იქაც გამორჩევით მის 3 მოსამართლეზე განაწილება;

– კონკრეტულ საქმეთა გამორჩევა პოლიტიკური ნიშნით და მათი უპრეცედენტოდ მოკლე დროში განხილვა რიგითობის პრინციპის დარღვევით.

ამ ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ, უკვე თავად ეს მოსამართლეები გახდნენ თავდასხმისა და შეტევის ობიექტები ნაციონალური მოძრაობის, მისი პარტნიორი პარტიებისა თუ მათი სატელიტი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოშლილ ორგანოდ, ხოლო სასამართლოს უმრავლესობას – წერილის ავტორ 5 მოსამართლეს (სასამართლო სულ 9 წევრისგან შედგება) უღირსებად და დისკრედიტებულად აცხადებენ.

რეალურად კი, მათი აგრესიის მიზეზი გახდა, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო საბოტაჟის გეგმის ჩაშლა, ხოლო მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის ზოგიერთ მოსამართლესა და ყოფილ სახელისუფლებო პარტიას შორის ფარული გარიგებების გამოაშკარავება.

უფრო კონკრეტულად კი, გამოაშკარავდა შემდეგი დარღვევები:

1. გამჟღავნდა მეტად სკანდალური ინფორმაცია, რომ ფარულად იცვლებოდა სასამართლოში უკვე ოფიციალურად შესული სარჩელები, ანუ პრაქტიკულად გამოიკვეთა მოსამართლეთა ერთ ჯგუფსა და გარკვეულ მოსარჩელეებს შორის ფარული თანამშრომლობის ნიშნები. კერძოდ, სასამართლოში შესულ სარჩელს, სავარაუდოდ, გადამოწმების შემდეგ შენიშვნებით უბრუნებდნენ მხარეს და მას უკვე შესწორებული, შინაარსობრივად და ასევე მოთხოვნების კუთხით გაზრდილი სარჩელი შეჰქონდა, რომლითაც ხდებოდა იგივე სარეგისტრაციო ნომრით ძველი სარჩელის ჩანაცვლება. ეს, ცხადია, კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ხელი არ შეშლოდა მის დაკმაყოფილებას, ანუ იკვეთება, რომ პრაქტიკულად წინასწარვე გადაწყვეტილი იყო საქმის შედეგი და სასამართლო განხილვები მხოლოდ ფარსი იქნებოდა. ჯერჯერობით ცნობილი გახდა 2 ასეთი სავარაუდო შემთხვევა და ორივე მათგანი პოლიტიკური ნიშნით გამორჩეულ საქმეებს ეხება: 1-ლი ეს არის ე.წ. „კაბელების საქმის“ სარჩელი, ხოლო მე-2 შემთხვევაში რუსთავი-2-ის ერთ-ერთი, ამჟამად უკვე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმე.

2. აღმოჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ახდენდა შემოსული, პოლიტიკური ნიშნის შემცველი, ზოგიერთი სარჩელის გამიზნულად ერთსა და იმავე მოსამართლეებისთვის განაწილებას. ეს ხდებოდა ძირითადად „სანდო“ 1-ლი კოლეგიის ფარგლებში, თუმცა აქაც ხდებოდა გარკვეული „გამორჩევა“, კერძოდ, ასეთი საქმეები სისტემატურად „რატომღაც“ ამ კოლეგიის მხოლოდ 3 მოსამართლესთან (კ. ვარძელაშვილი, მ. კოპალეიშვილი, მ. ერემაძე) ხვდებოდა, ხოლო მე-4 მოსამართლეს მ. ტურავას შეგნებულად არ ეწერებოდა მისი „არასანდოობის“ გამო. აქაც იკვეთება ის ვითარება, რომ წინასწარ პოლიტიკური ნიშნით გამორჩეული საქმეები ხელოვნურად ხვდებოდა ზემოაღნიშნულ მოსამართლეებთან, რათა მათ „საჭირო“ შედეგი დაეყენებინათ, ანუ კონკრეტული მოსარჩელეებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებობდა „პერსონალური“ კოლეგია, რომელიც ასეთ საქმეებს „განსაკუთრებულ“ რეჟიმში იხილავდა. აღარაფერს ვამბობთ მე-2 კოლეგიაზე (იქაც აგრეთვე 4 მოსამართლეა), სადაც ასეთი საქმეები, ცხადია, ნაწილდებოდა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მ. კოპალეიშვილი და კ. ვარძელაშვილი მოსამართლეობამდე წინა ხელისუფლების მთავრობის მაღალჩინოსნებიც იყვნენ, მეტად ახლო სამსახურებრივი და პირადი კავშირები აქვთ ნაციონალური მოძრაობის ბევრ მაღალჩინოსანთან, მათ შორის, ნ. გვარამიასთან (რომელიც ამჟამად ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორია), რისი კონკრეტული ფაქტებიც გაჟღერდა კიდეც და რის გამოც მათი აცილების საკითხი დადგა რუსთავი-2-ის საქმეზე. თუმცა, ცხადია, მათ მიკერძოებულად არ აიცილეს ეს საქმე, გააგრძელეს მისი განხილვა და დაკმაყოფილეს კიდეც ეს სარჩელი. ნიშანდობლივია, რომ ტელეკომპანია რუსთავი-2-თან დაკავშირებული რვავე (!!!) სარჩელი (საიდანაც ერთ-ერთზე გამოიცვალა სარჩელი) დაეწერა სწორედ 1-ლი კოლეგიის ამ 3 მოსამართლეს. ასევე მათ დაეწერათ თბილისის ყოფილი მერის გ. უგულავას სამივე სარჩელი, ე.წ. „კაბელების საქმის“ სარჩელი (სადაც ასევე სარჩელის შეცვლის ფაქტი ფიქსირდება). აგრეთვე ამ მოსამართლეთა ჯგუფზე განაწილდა შემდეგი საქმეები: საარჩევნო სარჩელი (რომლის არდაკმაყოფილების მეორე დღესვე გ. პაპუაშვილმა დაიწყო პროვოკაციული განცხადებების გაკეთება), საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე (სადაც ძველი სამეურვეო საბჭო აღდგა), საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს საქმე (სადაც იგი გაუქმდა), ე.წ. „ორგასაღებიანი მოსმენების სისტემის“ საქმე (სადაც ეს უკანასკნელიც გაუქმდა) და სხვ.

3. დადასტურდა, რომ ხდებოდა პოლიტიკურად საინტერესო სარჩელების გამორჩევა და მათი უპრეცედენტოდ სწრაფ ვადებში განხილვა, მაშინ, როდესაც სხვა „რიგითი“ საქმეები გაცილებით უფრო ადრეა (წლების წინ) სასამართლოში შესული და თავიანთი განხილვის რიგს ელოდებიან. გასული 10 წლის განმავლობაში პლენუმს არც ერთი საქმე არ განუხილავს 4 თვეზე ნაკლებ პერიოდში (გარდა 2 გამონაკლისისა – გ. უგულავას 2 სარჩელი) და სხვა შემთხვევებში საქმეთა დიდი უმრავლესობა პლენუმის მიერ განხილულია 7-დან 20-თვემდე პერიოდში.

ამ მაჩვენებლის ფონზე აშარად თვალშისაცემია, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებული ერთი სარჩელი სასამართლო პლენუმმა არსებითად განიხილა მისთვის გადაცემიდან მე-2(!), ხოლო ამავე ტელეკომპანიასთან დაკავშირებული მეორე სარჩელი – გადაცემიდან მე-3 დღეს. ასევე ტელეკომპანია რუსთავი2-თან დაკავშირებულ სხვა სარჩელზეც საკონსტიტუციო სასამართლომ, სარჩელის შესვლიდან რამდენიმე დღეში, კანონის ნორმის მოქმედება შეაჩერა ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ ისე, რომ მხარეებს ფორმალურადაც კი არ მოუსმინა და, შესაბამისად, არც საშუალება მისცა თავიანთი პოზიციები დაეფიქსირებინათ აღნიშნულ საკითხზე. ასეთი პრეცედენტი (რომ მხარეთა დასწრების გარეშე შეეჩერებინოს კანონის ნორმა) ამ სასამართლოს არსებობის განმავლობაში მანამდე არასოდეს დაფიქსირებულა. ეს უპრეცედენტო შემთხვევებია საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში და აშკარად ტოვებს დაინტერესების განცდას. ასევე პლენუმმა გ. უგულავას და ე.წ. კაბელების საქმის გაერთიანებული სარჩელების განხილვა გადაცემიდან დაახლოებით 1 თვეში დაიწყო, ხოლო გ. უგულავას ძველი 2 სარჩელი დაახლოებით 3 თვეში განიხილა. პრაქტიკულად მთელ ამ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას წითელ ხაზად გასდევს მათ მიერ გარკვეული საქმეების გამორჩევა და უსწრაფესად განხილვა, რაც, ცხადია, ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს უკავშირდება. ამ ფონზე კი აშკარად ილახება იმ მოქალაქეების უფლებები, რომელთა სარჩელების განხილვის რიგითობა ირღვევა და ზოგიერთი მათგანი წლებია ელოდება ამ უფლების რეალიზებას.

სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის წერილში, რომლითაც მათ მიმართეს თავმჯდომარეს, რათა აღარ ყოფილიყო ასეთი სუბიექტური მიდგომები და სასამართლოს ემუშავა მშვიდ, თანამიმდევრულ და არაფორსირებულ რეჟიმში, სადაც ყველა მხარისთვის დაცული იქნებოდა თანაბრობის პრინციპი.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა სრულიად მორგებული იყო ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დღის წესრიგს. კერძოდ, როდესაც ამ ოპოზიციური პარტიის მიერ გაწეული გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ამჟამინდელი ხელისუფლება იღებდა კონკრეტულ კანონებს პარლამენტში, რაც ითვალისწინებდა მთელი რიგი ინსტიტუციონალური რეფორმებისა და პრინციპული პოლიტიკური საკითხების დარეგულირებას, მაშინვე საქმეში ერთვებოდა საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც სწრაფად შედიოდა სარჩელი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების ან მათი წარმომადგენლების მიერ და იგი ნაწილდებოდა „სანდო“ 1-ელ კოლეგიაზე. ეს უკანასკნელი კი ხშირად სასწრაფო წესით ჯერ შეაჩერებდა ამ კანონის მოქმედებას, შემდეგ კი ასეთივე ფორსირებულ რეჟიმში აუქმებდა გასაჩივრებულ კანონს. ასეთი მაგალითები მრავლადაა: საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც უფლებამოსილება აღუდგა ძველ სამეურვეო საბჭოს და ხელოვნური კრიზისი შეიქმნა ამ ორგანოში (ვინაიდან ძველი შემადგენლობა ნაციონალური მოძრაობის მხრდამჭერებით დაკომპლექტებული გუნდი იყო და შესაბამისად ამ ორგანოზე გავლენას შეინარჩუნებდნენ); საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს კანონის გაუქმება, რითაც საშუალება არ მიეცა ამ ახალშექმნილ ორგანოს ამოქმედებულიყო (იმ მიზნით, რომ წინა ხელისუფლების მიერ არჩეულ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გ. ქადაგიძეს არ ჰყოლოდა მაკონტროლებელი ორგანო); ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ახალამოქმედებული, ძველთან შედარებით აშკარად უფრო მაღალი სტანდარტის და კონტროლის 2-გასაღებიანი სისტემა (იმ მიზნით, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა მაქსიმალურად შემცირებულიყო, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების დროს პრაქტიკულად არანაირი სტანდარტი ამ კუთხით არ არსებობდა და დანერგილი იყო ტოტალური და უკონტროლო მოსმენების სისტემა; ამ ახალი მოდელით კი გარე კონტროლის მექანიზმი შემოდიოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახით) და სხვ.

ასეთივე „წარმატებით“ აპირებდა ნაციონალური მოძრაობა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გ. პაპუაშვილი უკვე „აპრობირებული თანამშრომლობის“ გაგრძელებას, და რომ არა ბოლო პერიოდში პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებები (რომლებითაც პლენუმის უფლებამოსილება გაიზარდა და სხვ.), პრაქტიკულად ქვეყანა დგებოდა გარდაუვალი საკონსტიტუციო საბოტაჟის საფრთხის წინაშე, რასაც ხელოვნურად დაგეგმილი პოლიტიკური კრიზისი (თანამდევი შედეგებით) უნდა გამოეწვია.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნულს მიეცემა შესაბამისი ობიექტური შეფასება, სწორად გაანალიზდება მიმდინარე მოვლენები, რათა მსგავსი ინსტიტუციონალური პრობლემები ჩვენი ქვეყნის წინაშე აღარ დადგეს და გარანტირებული იყოს სახელმწიფო და კონსტიტუციური ორგანოების მოქმედება – მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრიორიტეტით, და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფისადმი მსახურებით.

ეკა ბესელია
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
გედევან ფოფხაძე
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ვახტანგ ხმალაძე: „არანაირი საჭიროება არ არის, ქორწინების საკითხზე კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს“

ნათია ხურცილავა

ჰესპუბლიკელი, პარლამენტის იუსტიციის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში განმარტავს, თუ რა საკითხთან დაკავშირებით ინიშნება ქვეყანაში რეფერენდუმი და რა საკითხზე არა.

„რეფერენდუმზე არ შეიძლება კონსტიტუციური ცვლილების საკითხი იყოს გატანილი“

– ბატონო ვახტანგ, ქორწინების საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნა რამდენად არის მისაღები? კონსტიტუციაში უნდა იყოს თუ არა დაფიქსირებული, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის ერთობა.

– 1995 წელს მე ვმონაწილეობდი კონსტიტუციაში იმ ნორმის ჩაწერაში, რაც დღეს წერია, რომ ქორწინება ეფუძნება მეუღლეთა თავისუფალ ნებას. არავის მაშინ სხვა რამე არ ჰქონდა ნაგულისხმები, გარდა იმისა, რომ საუბარია ქალისა და კაცის ქორწინებაზე, რომ მეუღლეები არიან ქალი და მამაკაცი. მეორე საკითხი: სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შემდეგ იქნა მიღებული, იქ პირდაპირ და ცალსახად წერია, რომ ქორწინება, ეს არის ქალისა და კაცის ნებაყოფლობითი ურთიერთობა. ეს პირდაპირ წერია, შესაბამისად, მე ვერანაირ საჭიროებას ვერ ვხედავ იმისა, რომ კონსტიტუციაში შევიდეს რამე ცვლილება და სხვაგვარი ჩანაწერი გაკეთდეს. შეიძლება ვიღაცებს სხვა მოსაზრებები აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეფასებით, ეს არის ხმაური ატეხილი არაფრის გამო. ეს არის ღია კარის მტვრევა.

– შესაძლებელია ეს პროცესი პოლიტიკას უკავშირდება და პოლიტიკური ქულების ჩაწერის მიზნით კეთდება ეს ყველაფერი?

– რასაკვირველია. ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა და მსგავსი რამ მხოლოდ საქართველოში არ ხდება, სხვაგანაც ხდება და ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის აურზაური არაფრის გამო.

– ბატონო ვახტანგ, როგორც კონსტიტუციონალისტს გეკითხებით, ზოგადად რეფერენდუმი რა საკითხის გამო ინიშნება ქვეყანაში? ეს არის იმ კატეგორიის თემა, რომ რეფერენდუმზე გავიდეს?

– მე მიმაჩნია და ბევრი სხვა კონსტიტუციონალისტიც თვლის, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების გამო არ შეიძლება ქვეყანაში რეფერენდუმი იმართებოდეს. კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების წესი თავად კონსტიტუციით არის დარეგულირებული და განსაზღვრული. თავად ეს საკითხი რეფერენდუმს არ ითვალისწინებს. კონსტიტუციით არის განსაზღვრული ძირითადი საკითხები, პრინციპები. ქვეყანაში თუ როგორ არის ხელისუფლება მოწყობილი, ადამიანის უფლებების საკითხები, მაგრამ მერე დეტალიზაცია კანონით ხდება. პარლამენტი იღებს კანონებს და ასე რეგულირდება. კონსტიტუცია ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. ყველა საკითხი კონსტიტუციაში არ არის ასახული და არც უნდა იყოს ასახული. ქვეყნის კონსტიტუციაში ყველაზე უფრო ფუნდამენტური საკითხები აისახება. დანარჩენი ყველაფერი კანონებით რეგულირდება.

არსებობს ქვეყნები, სადაც რეფერენდუმი უამრავ საკითხზე იმართება და არის ქვეყნები, სადაც რეფერენდუმის გამართვის შესაძლებლობა ძალიან არის შეზღუდული. ჩვენ მეორე კატეგორიის ქვეყნებს მივეკუთვნებით, სადაც შეზღუდულია ეს შესაძლებლობა. ჩვენთან რეფერენდუმზე გასატან საკითხთა წრე ვიწროა. მაგალითად, შვეიცარიაში იმასაც კი რეფერენდუმით წყვეტენ, ძაღლს კუდი შეიძლება მოაჭრა თუ არა. ასეთი შემთხვევა იყო. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გვარად რეგულირდება ეს საკითხი. ჩვენთან კონსტიტუციაში პირდაპირ წერია რა საკითხზე შეიძლება გაიმართოს რეფერენდუმი, ასევე წერია ზოგიერთი რამ, თუ რაზე არ შეიძლება გაიმართოს.

– როგორ რეგულირდება ეს საკითხი?

– ამ წესის მიხედვით რეფერენდუმზე არ შეიძლება დაისვას რაღაც საკითხი, რადგან თუ რეფერენდუმმა მიიღო გადაწყვეტილება, მერე ეს გადაწყვეტილება უნდა აისახოს კონსტიტუციაში, კონსტიტუცია კი არ ამბობს, რომ რეფერენდუმით უნდა წყდებოდეს კონსტიტუციის ცვლილების საკითხი. მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ პარლამენტმა არ შეიტანოს ის ცვლილება კონსტიტუციაში და რა გამოდის, ცხადია, წინააღმდეგობრივი გზა. ამიტომ რეფერენდუმზე არ შეიძლება გატანილი იყოს კონსტიტუციური ცვლილების საკითხი. არ შეიძლება რეფერენდუმი იყოს ჩატარებული კანონის მისაღებად. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის გასაუქმებლად. მაგალითად, ვერავინ ვერ დასვამს ასეთ კითხვას: – თანახმა ხართ თუ არა გაუქმდეს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომელიც ამბობს, რომ ქორწინება არის ქალისა და კაცის ნებაყოფლობითი კავშირი. არ შეიძლება ამაზე რეფერენდუმის ჩატარება, რადგან ეს არის კანონის გაუქმება.

– რა საკითხი გადის რეფერენდუმზე კონკრეტულად?

– რეფერენდუმზე შეიძლება გავიდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად: – მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას? გახსოვთ რეფერენდუმი, რომელიც 1991 წლის მარტში სწორედ ამ კითხვით ჩატარდა. ასევე მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო: – ეთანხმებით თუ არა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, ნატოში? ასეთი საკითხები შეიძლება იყოს რეფერენდუმზე გატანილი. არ შეიძლება რეფერენდუმზე იყოს გატანილი, მაგალითად, ამნისტიის საკითხი. უფრო კონკრეტულად კი: – გამოვაცხადოთ თუ არა ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენი პირები ამნისტირებულებად. ამის გაკეთება არ შეიძლება, კონსტიტუციაში ამის პირდაპირი აკრძალვაა. არც კანონის მისაღებად არ შეიძლება გაიმართოს რეფერენდუმი და არც კანონის გასაუქმებლად. რეფერენდუმი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გადასაწყვეტად იმართება, მაგრამ არა კანონის ნორმის სახით, არამედ პრინციპის სახით. შემდეგ ამ პრინციპზე დაყრდნობით უნდა დაიწეროს სათანადო ნორმა და კანონში ჩაიწეროს.

– სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია ამ საკითხმა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, აღნიშნული საკითხის ინიციატორების პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრაც გაუქმდა, რადგან პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ინიციატორებმა შანტაჟის ენა აირჩიეს. რას შეიძლება ეს ყველაფერი უკავშირდებოდეს და როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ვერ გეტყვით, რადგან არ მაქვს არანაირი ინფორმაცია, რომელიც იქნება დასაბუთებული თუ რას უკავშირდება, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ჰგავს ეს პროცესი რუსეთში მიმდინარე პროცესს.

გიორგი პაპუაშვილი ვა-ბანკზე მიდის?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბულია. „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ ცნობილია ინციდენტის დეტალები, რომელსაც პაპუაშვილი კომპრომატს უწოდებს. კერძოდ, საუბარია შემთხვევაზე, რომელიც 2012 წლის სექტემბერში თბილისში, ბესიკის ქუჩაზე მოხდა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თავმჯდომარემ საპატრულო ეკიპაჟს აგინა და პოლიციის მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობა გამოიჩინა.

„ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან ოფიციალური წერილით მიმართა გიორგი პაპუაშვილს, სადაც განმარტებას სთხოვს იმის შესახებ, ხომ არ გულისხმობდა პაპუაშვილი მის წინააღმდეგ არსებულ მაკომპრომეტირებელ მასალად საპატრულო ეკიპაჟთან მომხდარ ინციდენტს, რომელიც საპატრულო ეკიპაჟმა ჩაიწერა:

– მას 2012 წლის სექტემბერში დაპირისპირება მოუვიდა პოლიციასთან. ეს არის ფაქტი, როცა გიორგი პაპუაშვილს წინასაარჩევნო პერიოდში თბილისში, მთაწმინდაზე, ბესიკის ქუჩაზე მოუვიდა მნიშვნელოვანი დაპირისპირება საპატრულო პოლიციის ეკიპაჟთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა თავმჯდომარემ აგინა პოლიციელებს, უშვერი სიტყვებით მოიხსენია ისინი და დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაში. ამ ეკიპაჟმა ამოიცნო გიორგი პაპუაშვილი. მისი დაკავება იმუნიტეტის გამო ვერ მოხდა, – განმარტავდა მაშინ არჩილ კაიკაციშვილი.

ყოველ ჯერზე იყო მოლოდინი, რომ გიორგი პაპუაშვილის სკანდალურ განცხადებებს უკმაყოფილების ტალღა მოჰყვებოდა. ის იტყოდა და ოპოზიციაც და არასამთავრობო სექტორიც მაშინვე იწყებდა ამ ფაქტზე გამოძიების დაწყებას, აკრიტიკებდა ხელისუფლებას, უმოქმედობაში ადანაშაულებდა პროკურატურას.

თუმცა, გამოძიების შემდეგ, როცა ირკვეოდა, რომ პაპუაშვილმა იცრუა, მათი მხრიდან რეაგირება აღარ ხდებოდა. ისინი ისევ მზად იყვნენ, აჰყოლოდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პროვოკაციულ განცხადებებს.

2012 წელს საქართველო მე-100 ადგილზე დასახელდა, 2013 წელს 84-ე ადგილზე იყო, 2014 წელს კი 69-ე, 2015 წელს კი 64-ე ადგილი დაიკავა.

ორგანიზაციის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული ინდექსის მიხედვით, კი საქართველო რეგიონში 2011 წელს 105-ე ადგილზე დასახელდა და პრესის თავისუფლების მხრივ ლიდერის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში 77-ე ადგილზე მყოფ სომხეთს დაუთმო.

2016 წლის ანგარიშში, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში მედიის მესაკუთრეობის კუთხით გამჭვირვალე სიტუაციაა, სატელიტური ტელევიზიები კი პლურალიზმს უზრუნველყოფს.

ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებით, პრესის თავისუფლების კუთხით, კავკასიაში საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს აქვს.

ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, რეგიონში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც, ნაწილობრივ თავისუფალი პრესა არსებობს.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ 2016 წლის პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველომ 49 ქულა მოიპოვა 100-ბალიანი შკალით, სადაც მაქსიმალური 100 ბალი – ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია.

„ფრიდომ ჰაუსი“ საქართველოში არსებულ სამართლებრივ გარემოს 13 ქულად, პოლიტიკურს – 20 ქულად, ეკონომიკურ გარემოს კი 16 ქულად აფასებს.

2012 წლიდან, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოში გამარტივდა ტელევიზიის გახსნის პროცედურები. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ავტორიზაციის გავლა, ნებისმიერი მსურველს,10 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია.

2013 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად კი გაუმჯობესდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სატელევიზიო არხების საკუთრების და ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ.

რაც შეეხება პრესის თავისუფლების მხრივ საქართველოში 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობას, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების მიხედვით, ამ მხრივ, ქვეყანაში ვითარება ყოველწლიურად უარესდებოდა.



OSCE
The Representative on Freedom of the Media

Organization for Security and Co-operation in Europe
The Representative on Freedom of the Media
Dunja Mijatović

270/16

Vienna, 25 July 2016

H.E. Mikheil Janelidze
Minister of Foreign Affairs of Georgia

Your Excellency,

Allow me thank the Ministry of Foreign Affairs for the hospitality shown to me during my visit to Tbilisi on 6-7 July on the occasion of my Office's 13th South Caucasus Media Conference.

The two-day event brought together more than 80 journalists, representatives of government and civil society from Armenia, Azerbaijan and Georgia, along with international experts and participants from Bosnia and Herzegovina, the Russian Federation and the United Kingdom.

Participants discussed a wide range of issues affecting media freedom, including the safety and security of media workers online and offline, the influence of the Internet on the changing media landscape, and content regulation in conflict-affected regions, including the legal implications and professional standards of journalists.

At the end of the conference, participants adopted the attached recommendations, which I would like to bring to your attention.

These recommendations offer important perspectives that I hope will guide the South Caucasus countries in the further development of media and will be used by the relevant authorities when considering policies and practices related to the safety of journalists, the prevention of hateful propaganda, the promotion of media literacy, as well as to ensuring an overall positive environment for free expression and media pluralism.

I would also like to thank you for your comments during the opening address to the conference and for our constructive meeting that followed.

As we discussed, Georgia has achieved substantial and widely recognized progress on free media and freedom of expression. In this regard, I was encouraged with your assurances that the authorities would continue to preserve and enhance these exemplary achievements and maintain a diverse, vibrant and pluralistic media landscape.

My Office stands ready to support Georgia in this important process and provide necessary policy recommendations.

Wallnerstrasse 6-6a
A – 1010 Vienna, Austria
Telephone +43-1-514 36 6800
Telefax +43-1-514 36 6802
E-mail pm-fom@osce.org

Freedom House-ის 2007 მიმოხილვის თანახმად ქართული მედიის თავისუფლება შემცირდა და საქართველომ მედიის თავისუფლების რეიტინგში 57-ე პუნქტიდან მე-60 პუნქტზე გადაინაცვლა, „რაც ასახავს მედია გარემოს მზარდ პოლარიზაციას, ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედის“ ძალადობრივ დახურვას და ყველა სამაუწყებლო მედია საშუალების დახურვას დროებითი საგანგებო მდგომარეობისას“ ნოემბრის მოვლენების დროს.

2007 წელს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები მკვეთრად არასწორი მიმართულებით განვითარდა, განაცხადა აშშ-ში განთავსებულმა ორგანიზაციამ Freedom House-მა 2 იანვარს გამოქვეყნებულ მოხსენების თანახმად, საქართველოში არსებული „მყიფე მედია გარემო“ ასევე მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიული სტანდარტები დაცული არ არის.

❖ ❖ ❖

2008 წელს Freedom House-ს დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხი შემცირდა.

მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კვლევაში ნათქვამია, რომ მედია სივრცეში „დომინანტურ როლს ასრულებენ ის მედია საშუალებები, რომელთა მფლობელებიც ხელისუფლებას უჭერენ მხარს.“

2013 წლის Freedom House-ს მოხსენების თანახმად, საქართველომ არჩევითი დემოკრატიების რიგები დატოვა.

– საქართველო ჩამოქვეითდა, ნაწილობრივ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სტილში ავტორიტარული ტენდენციების გამო, – ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც 2013 წლის 12 იანვარს გამოქვეყნდა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს დაღმავალი ტენდენცია განპირობებულია (2008 წლის) საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლენილი ხარვეზებით, მათ შორის არის უამრავი ცნობა დაშინების ფაქტების შესახებ და სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რამაც საგრძნობლად არათანაბარი პირობები შექმნა, რითაც მმართველმა პარტიამ ისარგებლა.

საქართველოში პრესის თავისუფლების მდგომარეობის გაუარესების შესახებ მოხსენება გამოაქვეყნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში გაუარესდა სიტყვის, პრესის, შეკრების და პოლიტიკური მონაწილეობის პატივისცემა, განსაკუთრებით შემოდგომის კრიზისის დროს.

მოხსენება 2007 წლის პერიოდს მოიცავდა და მასში აღნიშნული იყო, რომ არსებობდა პრობლემები სასამართლო სისტემაზე და მედიაზე ხელისუფლების ზეწოლის, შეკრების თავისუფლების და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვების და მაღალჩინოსნებს შორის კორუფციის არსებობის კუთხით.

– დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების ზოგიერთმა წევრმა მიუთითა სახელისუფლებო ტელეკომპანიებს, განსაკუთრებით „რუსთავი 2“-ს და „მზეს“, რომ პოზიტიურად გააუქმონ ხელისუფლების საქმიანობა, – აღნიშნავდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2012 წელს, ხელისუფლებას გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფისკენ მოუწოდა საერთაშორისო უფლებათადამცველმა ორგანიზაცია Amnesty International-მა.

ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ იცავდა ოპოზიციის მხარდამჭერებს და ჟურნალისტებს ძალადობისგან, რომელსაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური“ საფუძველი უდევს.

Amnesty International-ის განცხადებაში საუბარი იყო ასევე იმ ფაქტებზეც, როდესაც „ინფო 9“-ის ჟურნალისტებს დასდევდნენ უცნობი ადამიანები, რომლებიც თავს ჟურნალისტებად წარმოაჩენენ და, რომლებიც „ინფო 9“-ის კორესპონდენტებს მუშაობაში ხელს უშლიდნენ.

– ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტებს შეუფერხებლად და ძალადობის შიშის გარეშე მუშაობის საშუალება ჰქონდეთ მიუხედავად იმ მედია საშუალების პოლიტიკური ინტერესისა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

ამჟამად კი, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს პროგრესზე საუბრობენ. ეუთოს წარმომადგენელი დუნია მიატოვიჩი კი მზადყოფნას გამოხატავს, დაეხმაროს საქართველოს ამ მნიშვნელოვან პროცესში და მიაწოდოს აუცილებელი რეკომენდაციები.

პეტრო პოროშენკო: საქართველოზე თავდასხმა რუსეთ-უკრაინის ომის პროლოგი იყო!

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ცხინვალის ომის მოვლენები მიმოიხილა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი აგრესიისათვის დიდხანს გულდასმით ემზადებოდა.

– საქართველო თავის პროდასავლური ორიენტაციის გამო უნდა დასჯილიყო. ასეთი გახლდათ პუტინის ნება, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იმხანად პუტინი მხოლოდ პრემიერი იყო (პრეზიდენტის პოსტი დიმიტრი მედვედევს ეკავა), მართვის რეალურ ბერკეტებს სწორედ ის ფლობდა. იურიდიულად არმია, ფსბ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მაშინდელ პრეზიდენტ მედვედევს ემორჩილებოდა. რეალურად ყველა ეს სტრუქტურა პუტინზე მუშაობდა.

– იმაში, რაც იმხანად ცხინვალის რეგიონში მოხდა, პუტინის წვლილი უმთავრესია, – ამბობს უკრაინის პრეზიდენტი.

პოროშენკომ გულისტკივილით აღნიშნა, რომ მაშინ დასავლეთმა კურსი აგრესორის დაშოშმინებაზე და არა პატარა საქართველოს დაცვაზე აიღო. ფაქტიურად დასავლეთმა თვალი დახუჭა იმაზე, რომ რუსეთმა როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია განახორციელა. რასაკვირველია, ბევრ რამეს ნიშნავს ის, რომ აფხაზების და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ არავინ აღიარა (რამდენიმე ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყნის გარდა), მაგრამ მხოლოდ ეს რუსების შესაკავებლად საკმარისი არ იყო.

– პუტინმა ჩათვალა, რომ დასავლეთი რუსულ ძალადობას წინ არ აღუდგებოდა. მოსკოვშიც უკვე უკრაინაზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტის აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია ყირიმის ანექსიასა და პროექტ ნოვოროსიის წარმოქმნასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებით რუსეთმა ბუფერული სახელმწიფოების შექმნა დაიწყო. რაკი საქართველომ პროდასავლური კურსი აირჩია (მისწრაფება გაწევრიანდეს ნატოში, ევროკავშირში), ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან, ეს წარმატებით დაგვირგვინდებოდა. ნატოს ბუქარესტის სამიტზე ითქვა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები მომავალში აუცილებლად გახდებოდნენ. შესაბამისად, რუსეთსა და პროდასავლურ გზაზე დამდგარ საქართველოს შორის ბუფერული სახელმწიფოები უნდა არსებობდნენ. ასეთი როლი ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკებს“ ერგოთ. უკრაინასთან მიმართებაში კი ბუფერის როლი აღორძინებულ ნოვოროსიას უნდა შეესრულებინა.

– ნოვოროსიაში უნდა გაერთიანებულიყვნენ დონბასი, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, ხარკოვი, უკრაინის სამხრეთი (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, ყირიმი) და დნესტრისპირეთი, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინელი ხალხის სიმამაცემ ეს პროექტი ჩაშალა. ახლა ბრძოლები დონბასის ნაწილში მიმდინარეობს. უკრაინელები აქტიურ თავდაცვას ახორციელებენ. მათ შეინარჩუნეს კონტროლი დონბასის 75 პროცენტზე და რუსული არმიის წინსვლის შეჩერება შეძლეს. დანაკარგი, რომელსაც რუსეთი დონბასში განიცდის, კოლოსალურია და ესაა არა მხოლოდ ცოცხალი ძალის, არამედ პოლიტიკური დანაკარგიც.

– უკრაინა არასოდეს არ აღიარებს ე.წ. „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობას. ჩვენ და ქართველებს საერთო ინტერესები გვაქვს, ამიტომაც ვართ მოკავშირეები. ეს ასე იყო, ასე არის, ასე იქნება! – აცხადებს უკრაინის პრეზიდენტი.

იაპონიის იმპერატორს გადადგომა სურს

იაპონიის იმპერატორმა აკიჰიტომ განაცხადა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია და მას თავისი მოვალეობის შესრულება უჭირს. ღრმად მოხუცებულმა აკიჰიტომ უკვე რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა.

– არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდეს და მოვალეობის შესრულება ვეღარ შევძლო, – თქვა იმპერატორმა.

იაპონიის პრემიერი აკიჰიტოს გამოსვლას უმალ გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაცია კარგად უნდა გაანალიზოს. გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ იქნება მიღებული. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს პერიოდში აკიჰიტო გადადგება, ტახტზე კი მისი ვაჟი ავა.

რესპუბლიკელთა ვეტერანები ტრამპის წინააღმდეგ

რესპუბლიკური პარტიის ორმოცდაათმა ვეტერანმა ხელი მოაწერა წერილს, სადაც ნათქვამია, რომ არჩევნებზე ტრამპს ხმას არ მისცემენ.

– მისტერ ტრამპი ვერ ერკვევა პოლიტიკაში. მისი პოლიტიკური პროგრამა არა მხოლოდ ქსენოფობიური, არამედ ამერიკის ინტერესებისათვის საზიანოა. ეს კაცი ჩვენი ქვეყნისთვის საშიშროებას წარმოადგენს, – ნათქვამია წერილში.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა მაიკლ ჰაიდენმა, სხვა ცნობილმა მოღვაწეებმა. ხელმომწერთა შორის არიან ისინი, ვისაც აშშ-ს დაზვერვაში, ეროვნული უშიშროების ასამბლეაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ცსს-ის ყოფილი აგენტი აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ყოფილა აგენტი მაკმალინი პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. პრესასთან საუბარში მან განაცხადა, რომ მას მხარს რესპუბლიკური პარტიის ვეტერანები დაუჭერენ.

– ჩემს უმთავრეს მოწინააღმდეგედ დონალდ ტრამპს ვთვლი. ეს კაცი ამერიკისათვის საფრთხეს წარმოადგენს, – თქვა მაკმალინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება არჩევნები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება 2016 წლის 9 სექტემბრის 10:00 საათიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2016 წლის 14 სექტემბერი, 18:00 საათი.

აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის არჩევის დღედ 2016 წლის 23 სექტემბერი განისაზღვრა.

კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

ასტროპროგნოზი
10 აგვისტოსთვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრმანქალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩავლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ფინეთის პარლამენტი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 16. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 18. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 8. თაღლითის, მატყუარას ძველის ქართული სახელწოდება; 12. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 13. უნივერსიტეტი მადრიდში; 15. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქართველი მგოსანი; 20. საარყე ტიკჭორა; 21. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „ნაპოლი“; 2. ლაკი; 3. სეფედროშა; 4. „ნივეა“; 5. მანტისა; 8. საფარა; 9. გალაქტიკა; 12. ევროპა; 14. „ლიკანი“; 16. ივერი.

თარაზულად: 1. ნაფტალანი; 6. ნემეზიდა; 7. პარსეკი; 9. გაბენი; 10. ბახი; 11. „მარტელი“; 13. „პოლკა“; 15. ავღანი; 17. საიგაკი; 18. კორიფე; 19. აფონია; 20. ლივადია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყუმი; 2. „აპაჩი“; 3. შტატი; 5. ნადუღი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. ურო; 16. ბატიკა; 18. „ლიდა“.

თარაზულად: 1. ყაზანი; 4. დინამიკა; 7. სავანა; 8. ტყიბული; 12. აკაბა; 13. დურაჯი; 15. „იდიოტი“; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ვახტი; 21. „სამაია“.

დაკარგული შესაძლებლობების ქვეყანა

სოსო ზაალიშვილი

რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური რყევების ფონზე საქართველოში შედარებითი სიმშვიდე სუფევს.

თითქოს ჩვენს ქვეყანას არ ეხება არც ახლო აღმოსავლეთში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც მილიონობით ადამიანი გააუბედურა, არც თურქეთში მომხდარი სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა.

ქართველი პოლიტიკოსები არც ერდოღანის პეტერბურგში ვიზიტს აფასებენ, არც ბაქოში შემდგარ სამმხრივ შეხვედრას. თითქოს ეს ყველაფერი სადღაც შორს, სხვა კონტინენტზე, ან სხვა პლანეტაზე ხდებოდეს და არა უშუალოდ ჩვენს საზღვრებთან.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კონსტიტუციაში გაკეთებული ჩანაწერი ოჯახის შესახებ ან ყბადაღებული ოდერებისა თუ უსაფრთხოების ოფიცრის თემა, რომელმაც სახელმწიფო საიდუმლოების გაცემისაგან უნდა დაიცვას ქვეყანა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტ პუტინის, ირანის პრეზიდენტ როუჰანისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევის შეხვედრა ბაქოში.

თითქოს ოპოზიციასა და ხელისუფლებას პირი აქვთ შეკრული და განგებ ამყოფებს მოსახლეობას გაუგებრობასა და უმეცრებაში, ან შესაძლოა, მათ მართლაც არ ესმით რეგიონში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობა.

ერთი კვირის განმავლობაში, ისლამური სამყაროს ორი ჰეგემონი ქვეყნის, თურქეთისა და ირანის პრეზიდენტების შეხვედრები ქართველ პოლიტიკოსებს შესაძლოა, არ მიაჩნიათ მნიშვნელოვან საკითხად. თუმცა, მთელი მსოფლიო განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება ამ მოვლენას, რომელიც ძირეულად ცვლის რეგიონში ძალთა ბალანსს.

ის, რომ თურქეთისა და ირანის რუსეთთან დაახლოება საქართველოს დასავლური განვითარების პერსპექტივას საფრთხეს უქმნის, ცხადია. ახალი სატრანსპორტო და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის კორიდორების ამუშავება, რომელზეც სამი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრაზე შეთანხმდნენ და პეტერბურგში პუტინისა და ერდოღანის შეხვედრაზე იქნება საუბარი, საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს. ფუნქციადაკარგული საქართველო ნამდვილად აღარ იქნება საინტერესო არავისთვის.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა რუსული გაზის ევროპისათვის უკრაინის გვერდის ავლით მიწოდებისათვის. საუბარია შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობაზე, რომლითაც რუსეთი თურქეთს მიაწოდებს გაზს შემდგომში ევროპაში გასატანად. რა თქმა უნდა, თურქეთი ამ შემთხვევაში საკუთარი მოხმარებისათვისაც დაიტოვებს რუსული ბუნებრივი აირის ნაწილს. გაზპრომმა უკვე შესთავაზა თურქულ მხარეს მნიშვნელოვანი ფასდაკლება. ასე რომ, პროექტის დასაწყებად მხოლოდ ფორმალური მხარე დარჩა მოსაგვარებელი.

ევროკავშირისა და თურქეთის მოლაპარაკებებიც ჩიხშია შესული. თურქეთის ხელისუფლებამ უკვე თქვა უარი ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის, ტერორიზმთან ბრძოლის კანონის შეცვლაზე. ასე რომ, თურქეთისა და დასავლეთის ურთიერთობა უახლოეს მომავალში ვერ დარეგულირდება.

1996 წელს, სანამ ბაქო-ჯეიჰანის საუკუნის პროექტს ჩაეყარა საფუძველი, მსოფლიო კასპიის აუზის ნავთობპროდუქტების ევროპულ ბაზარზე გატანის რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა. საუბარი იყო აზერბაიჯანი-ირანის მარშრუტზე, შემდეგ წითელი ზღვით და სუეცის არხით ნავთობის ევროპულ ბაზარზე გატანაზე. თუმცა, იმ დროს ირანის გაძლიერება და ამ აგრესიული ქვეყნის ეკონომიკაში მრავალი მილიარდი დოლარის ინვესტირება, აგრეთვე ირანის ლიდერების ხასიათსა და გუნებაგანწყობაზე ევროპული ეკონომიკის მიბმა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

მეორე ვარიანტი ბაქო ნოვოროსიისკის ნავთობსადენი გახლდათ. ეს პროექტი, ისევე, როგორც აზერბაიჯანი-ირანული ნავთობსადენი ინვესტორებისათვის ბევრად უფრო იაფი იყო, თუმცა მასზე უარი ითქვა. გეოგრაფიული მდებარეობის გამო ნოვოროსიისკის პორტი ზამთარში იყინება. ეს კი ტანკერებით ნავთობპროდუქტების გადაზიდვას შეუძლებელს ხდის. მეორე პრობლემა და უფრო მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ჩრდილოკავკასიაში ამ დროს არასტაბილური მდგომარეობა იყო. ჩეჩნეთში მიმდინარე ომი საფრთხეს უქმნიდა ნავთობსადენს. ბაქოდან უკვე არსებული ნავთობსადენი დაღესტანი-ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლელ ინვესტორებს აღარ სჭირდებოდათ ახალი ნავთობსადენის მშენებლობა, უსაფრთხოების პრობლემების გამო, პროექტზე უარი ითქვა.

მოგეხსენებათ, ჩეჩნეთის ომში თურქეთის რესპუბლიკას დიდი ღვაწლი მიუძღვოდა. ჯიჰადისტების დიდი ნაწილი თურქეთის მიერ ფინანსდებოდნენ. თურქეთი ჩრდილოკავკასიაში არეულობას ყოველნაირად უჭერდა მხარს. ამის მიზეზი არა მარტო რელიგიური ფაქტორი, არამედ ეკონომიკური სარგებელიც იყო. ამ ქვეყანამ რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენზე საერთაშორისო კონსორციუმის მიერ უარის თქმით, უდიდესი ეკონომიკური სარგებელი მიიღო.

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსთვისაა ეკონომიკური თვალსაზრისით არაფრისმომტანი, თორემ თურქეთში უამრავი ინვესტიცია დაბანდდა და მრავალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ანალოგიური პრობლემაა დღეს შაჰდენიზი-1 და შაჰდენიზი-2 გაზსადენთან მიმართებაშიც. ამ პროექტებს ევროპისათვის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების პრობლემა უნდა მოეხსნა.

პროექტი რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი. პირველი ეტაპი დასრულდა და ბუნებრივი აირი უკვე მიემართება ამ გაზსადენით ევროპაში. რამდენიმე ხნის წინ ირანის ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი, რომ კასპიის ზღვის შელფში არსებული ირანული გაზისა და ნავთობის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება ამ მარშრუტით მომხდარიყო, მაგრამ მაშინ ირანის ნავთობგადამამუშავებელი სფერო საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების მოქმედების არეალში იყო და ეს შეუძლებელი გახლდათ.

დღეს სულ სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ.

დასავლური ინვესტიციების წყალობით თურქეთს გამართული ნავთობგადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა დარჩა. ერდოღანის მიერ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება ამ ინფრასტრუქტურაზე დასავლურ გავლენას ამცირებს.

რუსეთის წყალობით თურქეთისა და ირანის ურთიერთობების მოგვარება საქართველოს ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის ტრანზიტში ჩართულობას აღარ საჭიროებს. ირანს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი ნავთობმომპოვებელი სფეროს მოდერნიზება აზერბაიჯანისა და რუსეთის დახმარებით მოახდინოს.

ტრანსპორტირებისათვის კი სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო კორიდორი და ბაქო-მახაჩკალა-გროზნო-ნოვოროსიისკის მარშრუტი გამოიყენოს. ევროპისათვის რუსულ-აზერბაიჯანულ-ირანული ბუნებრივი აირის მიწოდება კი თურქეთიდან მოხდება.

ეს უდიდესი დარტყმა იქნება ევროპისათვის. ერთი მხრივ, ევროპა ენერგეტიკული თვალსაზრისით კვლავ რუსეთზე დამოკიდებული რჩება, მეორე მხრივ, ევროპის ეკონომიკური ლოკომოტივი გერმანია კარგავს რუსული ბუნებრივი აირის გამანაწილებლის ფუნქციას. მოგეხსენებათ, უკრაინიდან და ბელორუსიიდან რუსული ბუნებრივი აირი გერმანიაში ხვდება და მხოლოდ ამის შემდეგ ნაწილდება ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. იმ შემთხვევაში, თუ გერმანია დაკარგავს ამ ფუნქციას, ეს გერმანიის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს.

რუსეთი ამ ნაბიჯით ევროპისათვის საქართველოსთან ერთად უკრაინის მნიშვნელობასაც აკნინებს. იმ შემთხვევაში თუ ამ ორმა ქვეყანამ დაკარგა ენერგომატარებლების ტრანსპორტირების აუცილებელი სტატუსი ეკონომიკური თვალსაზრისით, არცთუ შორეულ პერსპექტივაში სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

მაგრამ ამ დროს არც საქართველოს, არც უკრაინის ხელისუფლება არ ცდილობს საკუთარი ინტერესების ლობირებას არც რუსეთში და არც სხვა ქვეყნებში. თურქეთში პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის ვიზიტი ან ქართულ-რუსული მოლაპარაკებები ამ საკითხების მოგვარების ირგვლივ არ მიმდინარეობს. არც ოპოზიცია იკლავს თავს პრობლემის წინა პლანზე წამოწევით.

საინტერესოა, რით აპირებს ან მთავრობა, ან მთავრობაში მოსვლის მსურველი პოლიტიკური ძალები ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, თუ საქართველომ დაკარგა სატრანზიტო ფუნქცია?!

თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობების ახალ რანგში აყვანა საფრთხეს ქართულ სოფლის მეურნეობასაც უქმნის, რომლის განვითარებაში სახელმწიფო და კერძო სექტორი უზარმაზარ თანხებს აბანდებს. თურქული და ირანული იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქცია რუსულ მონოპოლისტურ ბაზარზე გარკვეული სახელმწიფო ხელშეწყობისა და უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უფრო მალე დაბრუნდება, ვიდრე ქართული. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს ინვესტიციებიც, არცთუ შორეულ პერსპექტივაში, წყალში გადაყრილი ფულია, ისევე, როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩაყრილი მილიარდები.

ფაქტია, რომ საქართველო ნელ-ნელა კარგავს შესაძლებლობას საინტერესო იყოს ინვესტორებისათვის, აქედან გამომდინარე, რეგიონის მასშტაბით დაწყებულ ვაჭრობაში ჩვენი პოზიციები ბევრად უფრო სუსტად გამოიყურება. სუსტი პოზიციების მქონე პარტნიორი კი არავისათვის საინტერესო არაა.

რამდენიმე დღის წინ ოპეკის (ნავთობმომპოვებელი ქვეყნების კარტელი) ქვეყნების წარმომადგენლებმა რუსეთის ხელისუფლებას მიმართეს, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები ნავთობის მოპოვების ქვოტების შემცირებასთან დაკავშირებით. ნავთობის მოპოვების შემცირება ფასების ზრდას გამოიწვევს. თავად ასეთი თხოვნა უკვე იძლევა იმისი თქმის საფუძველს, რომ რუსულ-ირანულ-აზერბაიჯანულ-თურქული ტანდემის შექმნა ნავთობის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის ბაზარზე სერიოზულ რყევებს მოახდენს.

საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავს შესაძლებლობას დარჩეს პარტნიორთათვის საინტერესო ქვეყანა. ეს კი აუცილებლად იქონიებს უარყოფით გავლენას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გავითარებს პერსპექტივაზე.

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან დადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სამგლოვიარო განცხადებები

თამაზ მაჭავარიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნოდარ მოდებაძის ოჯახს, მეუღლეს ლალის, შვილებს არჩილს, ლექსოს, ზურაბს, დას თამარს, ძმას მიხეილს და მთელ სანათესაოს შესანიშნავი მამულიშვილის

ნოდარ მოდებაძის

ტრაგიკულად დაღუპვას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ოთხშაბათი
10 აგვისტო

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ოლიმპიადა – "რიო **2016**" (**09.08.2016**-ის გ"ჩვ) **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენგო ვებრინე** **14.00** "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" **15.30** "გურმანია" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00** ოლიმპიადა – "რიო **2016**"

08.00, 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** დ/ფ "ფერების სამყარო" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფგიარი" **14.00** მხ/ფ "**აპალუზა**" (მ.ბრანდო) **16.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **17.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **21.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" - გოდერძის ცოდვის შვილები **22.00, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **00.25** მხ/ფ "**ბოლო სანლი მარსხნივ**"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაძელი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ**". **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **10** სერ. **00.00** მხ/ფ "**დარჩენილი დრო**" **02.00** მხ/ფ "**შემზარავი წინათგრძნობა**" **04.00** მხ/ფ "**ჩემი როლი ცხოვრებაში**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30** დ/ფ "აგვისტოს ომი **2**გ" თ.ჩაგელიშვილი **08.30, 09.10, 01.00, 03.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** სერ. "**გაბრიელა**" **15.55** სერ. "**ქარადაბი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** კომედის კონცერტ **2015 03.00** კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/სერ. - "**ავანტარი**" **09.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 00.30** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 02.30** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**იმს – ადამიანები - გადამწყვეტი ბრძოლა**" **17.00** აირჩიე კაბა რენდისთან ერთად **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**ეძიმ ჯალიგარის კაბინეტი**" **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.15 დროის ჩანაწერები "შეხვედრები პერსონაჟებთან" **07.00** მართლმადიდებლური კატეხეზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადის" კოლაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "წმინდა მეფე თამარი" **11.05** ერთხელ ბავშვობაში "გურამ დოჩანაშვილი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "ფშავი" **12.10** ღია აუდიტორია **12.45** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** ღვთის სახლი "სოხუმი" **15.55** დ/ფ "ათონის მთა" **17.15** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** დ/ფ "ძამას ხეობა" II ნაწ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **20.40** ძილი ნებისა "მგელი და კრავი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" IV **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "დიაკონიძეები" **23.35** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** ისტორიის დღიური **01.00** მხ/ფ "**ბრაუ მონტე კრისტო**" III სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟუსტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალია ეძიები**" **10.05** სერ. "**ბაბიანა**" **11.05** ღამის კონტაქტი **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის ოფერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** ღამის კონტაქტი **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3486	ევრო — 2.6041
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0699	100 რუსული რუბლი — 3.6161

ამინდის პროგნოზი 10 აგვისტოსთვის

ლაშა შავდათუაშვილმა რიოში მედლების ანგარიში გახსნა

საქართველომ რიოში ოლიმპიური მედლების ანგარიში გახსნა – 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა ამჯერად ბრინჯაოს მედლი მოიპოვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებაა.

დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ ისტორიაში ლაშა შავდათუაშვილი ოლიმპიადების პირველი ორგზის პრიზიორია! ხოლო, შოთა ჩოჩიშვილის შემდეგ, შავდათუაშვილი მეორე ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლო.

მეოთხედფინალამდე ლაშა შავდათუაშვილმა ორი ეტაპი ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გაიარა. შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო, სადაც კუბელ მაგდიელ ესტრადას 2 წუთსა და 40 წამში ორი ვაზარი შეუსრულა. შემდეგ კი შრი ლანკის ნაკრების წევრი ჩამარა რეპიალაჯი ორწუთნახევარში დასცა ბეჭებზე.

მეოთხედფინალში შავდათუაშვილი ვაზარით ჩამორჩა. შოჰეი ონომ უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ნახევარფინალში გავიდა. ლაშა კი რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო.

ბრინჯაომდე ორი გამარჯვება რჩებოდა. პირველ ყოვლისა, რუსეთის ნაკრების წევრ დენის იარცევის დამარცხება იყო აუცილებელი. მე-5 წუთის ბოლომდე შავდათუაშვილი იუკოთი აგებდა. საფინალო გონგამდე ოციოდ წამით ადრე ვაზარით დაწინაურდა. სულ რამდენიმე წამში კი სუფთა გდებაც შეასრულა და „ბრინჯაოს ფინალში“ გავიდა.

გადამწყვეტ ბრძოლაში შავდათუაშვილი ევროპის შარშანდელ ჩემპიონს – ებრაელ საგი მუკის დაეჭიდა. პირველ სამ წუთში მსაჯს ორჯერ გააფრთხილებინა. მე-4 წუთის დასაწყისში კი იპონით მოუგო. მე-4 გამარჯვება და მე-4 იპონი!

ოქრო კი ონომ მოიგო, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანელი რუსტამ ორუჯოვი დაამარცხა. ბრინჯაოს პრიზიორი კი შავდათუაშვილთან ერთად ბელგიელი დირკ ფან ტიხელტი გახდა.

ძიუდოისტთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ოლიმპიურ სოფელში შეიკრიბნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის წევრები, სპორტსმენები, მწვრთნელები, რომლებმაც ლაშა შავდათუაშვილს ოლიმპიური ბრინჯაოს მოპოვება მიულოცეს.

ლაშა შავდათუაშვილი:

– ძალიან დიდი სიხარულია, როდესაც შეგიძლია შენი პატარა წვლილი შეიტანო ქვეყნისთვის კარგ საქმეში და რამდენიმე წამით მაინც დაავიწყო პრობლემები შენს გულშემატკივრებს. რუსთან შეხვედრის დროს დაძაბული ვიყავი, ვფიქრობდი, რომ უფლება არ მქონდა წამეგო რუსთან, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი ქართველი დაიღუპა რუსეთ-საქართველოს ბრძოლაში. მე არ მქონდა უფლება სხვანაირად გამოვსულიყავი ამ ბრძოლაში. წონა შევიცვალე ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ და ყოველთვის რთულია ახალ წონაში წარმატებით გამოსვლა. მაგრამ დიდი შრომის ხარჯზე შევძელი. რა თქმა უნდა, მსურდა ოქროს მედალი, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე ნებისმიერი მედლის მოპოვება ნამდვილად დიდი წარმატებაა. ეს გამარჯვება მთელს ქვეყანას მინდა მივუძღვნა.

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ბარაკ ობამას ვარსკვლავური დაბადების დღე

აშშ-ს პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ თავის მეუღლეს, ქვეყნის პრეზიდენტს დაბადების დღეს ვარსკვლავური საღამო მოუწყო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღონისძიება გასაიდუმლოებულ ვითარებაში გაიმართა, თუმცა მოგვიანებით ზოგიერთმა სახელოვანმა სტუმარმა საღამოზე საკუთარი შთაბეჭდილებები სოციალურ ქსელებში გააზიარეს.

– დღევანდელი საღამო არასოდეს დამავიწყდება, – დაწერა საკუთარ ტვიტერში მომღერალმა და მსახიობმა ნიკ ჯონასმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წვეულების სტუმართა შორის იყვნენ ბიონსე, ლამარი, სემუელ ელ ჯექსონი, ჯენიფერ ჰადსონი, სარა ჯესიკა პარკერი, ჰილარი კლინტონი და აშერი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ცოლ-ქმარი დაქორწინების 25 წლისთავს აღნიშნავს. ქმარი ცოლს ეუბნება:

– გახსოვს, 25 წლის წინ ჩვენ იაფფასიანი ბინა გვქონდა დაქირავებული, გაცვეთილ დივანზე გვეძინა, ვუყურებდით შავ-თეთრ ტელევიზორს. ახლა კი ყველაფერი გვაქვს: ძვირფასი სახლი, შესანიშნავი ავეჯი, პრესტიჟული მანქანა, პლაზმური ტელევიზორი!

– კი, ძვირფასო.

– ჰო. მაგრამ 25 წლის წინ ახალგაზრდა და მშვენიერ 21 წლის გოგონასთან მეძინა, ახლა კი 46 წლის ქალის გვერდით მიწევს ძილი!

– რა პრობლემაა, შენ 21 წლის ლამაზი, მშვენიერი გოგონა იპოვნე, მე კი იმაზე ვიზრუნებ, რომ იაფფასიანი ბინა, გაცვეთილი, ძველი დივანი და შავ-თეთრი ტელევიზორი გქონდეს...

●●●

ერთი ხანდაზმული წყვილი მეორეს სტუმრობს. სანამ ბებიები სამზარეულოში ფუსფუსებენ, პაპები ოთახში თავს საუბრით იქცევენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– მე და ჩემი ცოლი გასულ კვირას ახალ რესტორანში ვიყავით და არ მოგვწონა.

– რომელ რესტორანში?

– თფუ, ამის, დამავიწყდა, რა ჰქვია იმ ლამაზ წითელ ყვავილს, იმას რომ ჩუქნი, ვინც გიყვარს?

– ტიტა?

– არა.

– მიხაკი?

– არც ეგ.

– ვარდი?

– ჰო, სწორედ. ვარდო...

შემდეგ გასძახებს სამზარეულოსკენ:

– ვარდო, რა ჰქვია იმ რესტორანს, გასულ კვირას, რომ ვიყავით?

●●●

როდესაც ვამბობ არ ვსვამ, ყველა დალევას მაძალებს! როდესაც ვამბობ, რომ დიეტაზე ვარ, ყველა საჭმელს მჩრის პირში! როდესაც ვამბობ, რომ არ მაქვს ფული, ან ჩუმად ვამბობ, ან ყველას ცუდად ესმის.

●●●

სექსოპათოლოგი პაციენტ ქალს ეკითხება:

– კიდევ რაიმე კონტრაცეპტული საშუალებით თუ სარგებლობთ, თქვენი მყრალი ხასიათის გარდა?

●●●

დედა შვილს აღვიძებს და ეუბნება:

– ადექი, მაღვიძარა რეკავს.

– უთხარი, რომ გადავურეკავ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

9 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

12 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ნამიბიელთა მედროშე გაუპატიურების მცდელობისთვის დააკავეს

რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე ოლიმპიადაზე ნამიბიის ნაკრების მედროშე, ჯონას ჯუნიოსი, ბრაზილიის პოლიციამ გაუპატიურების მცდელობისათვის დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას ბი ბი სი ავრცელებს.

როგორც ირკვევა, 22 წლის აფრიკელი მოკრივე ოლიმპიურ სოფელში მომსახურე პერსონალის ერთ-ერთ წარმომადგენელს ინტიმური კავშირის სანაცვლოდ ფულს სთავაზობდა. გოგონამ სპორტსმენის წინადადებაზე უარი თქვა, სასტუმროს ნომრიდან გაიქცა და პოლიციას მიმართა.

რიოს ოლიმპიადაზე ნამიბიის ნაკრების მედროშე გაუპატიურების მცდელობისათვის დააკავეს.

რიოს ოლიმპიურ თამაშებზე მსგავსი შემთხვევა უკვე მოხდა, როდესაც მაროკოელი მოკრივე ჰასან საადა დააკავეს, რომელიც ინტიმურ კავშირს ოლიმპიური სოფლის ერთდროულად ორ თანამშრომელს სთავაზობდა.

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამ; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში.

თარაზულად: 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 10. ტბა გაგრის რაიონში; 11. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 15. საფარიკაო სპორტული იარაღი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 20. ეგვიპტის მმართველთა ტიტული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა